

## საფეხმავლო გამყოლი 112060

## პროფესიული სტანდარტი

**I სფეროს აღწერა**

საფეხმავლო გამყოლი მიმართულებათაშორისი დარგებისა ან სპეციალობების მიმართულების ტურიზმის დარგის კვალიფიკაციაა. პროფესია არის მომსახურებაზე ორიენტირებული და გულისხმობს ფეხით მოგზაურობით დაინტერესებული მომხმარებლისათვის მაღალი ხარისხის სერვისის შეთავაზებას.

საფეხმავლო გამყოლი წარმოადგენს ტურისტთა მომსახურე გუნდის ნაწილს. მის წარმატებულ მუშაობაზე და კვალიფიკაციაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ტურის საერთო წარმატება.

საფეხმავლო გამყოლი ეწევა საექსკურსიო მომსახურებას საქართველოს და/ან კონკრეტული მთიანი რეგიონის მასშტაბით; საქართველოს რეკრეაციული ზონების და ტურისტებისათვის საინტერესოდ მიჩნეულ სხვა ობიექტებში.

საფეხმავლო გამყოლი უზრუნველყოფს ტურის მომზადებას, ჯგუფის უსაფრთხოებას, დაგეგმილი მომსახურების ხარისხის კონტროლს და პასუხისმგებელია მისი დაგეგმვის და განხორციელების ყველა ეტაპზე.

საფეხმავლო გამყოლის პროფესიული კვალიფიკაცია ითვალისწინებს უნარებს ისეთ დისციპლინებში, როგორცაა ორიენტირება და ნავიგაცია, პირველადი სამედიცინო დახმარება და სხვა.

**II დასაქმების სფერო**

საფეხმავლო გამყოლი შესაძლოა მუშაობდეს როგორც კერძო პირი, ინდივიდიალური ან ჯგუფური დაკვეთის შესაბამისად გაფორმებული სამუშაო ხელშეკრულების მიხედვით.

**III საგანმანათლებლო პროგრამა და კვალიფიკაცია**

საფეხმავლო გამყოლის პროფესიული განათლება არის ორსაფეხურიანი (III, IV). საფეხურის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაცია, რაც დასტურდება პროფესიული დიპლომით.

საფეხმავლო გამყოლის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს არანაკლებ 60 კრედიტს. აქედან კრედიტების მინიმუმ 40% ეთმობა პრაქტიკას. კურსდამთავრებულს ენიჭება საფეხმავლო გამყოლის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია და გაიცემა შესაბამისი პროფესიული დიპლომი.

საფეხმავლო გამყოლის მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს არანაკლებ 60 კრედიტს. აქედან კრედიტების მინიმუმ 40% ეთმობა პრაქტიკას. კურსდამთავრებულს ენიჭება საფეხმავლო გამყოლის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია, და გაიცემა შესაბამისი პროფესიული დიპლომი.

IV საფეხმავლო გამყოლის პროფესიულ კვალიფიკაციათა აღმწერი

საფეხმავლო გამყოლის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის აღმწერი - ადგილობრივი საფეხმავლო გიდი

|                                     |  |  |
|-------------------------------------|--|--|
| <p><b>ცოდნა და გაცნობიერება</b></p> | <p>აქვს სფეროსთვის დამახასიათებელი ძირითადი, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა. აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს.</p> | <p><b>საფეხმავლო გამყოლი :</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• იცის და გაცნობიერებული აქვს სათავგადასავლო ტურიზმისა სფეროსათვის დამახასიათებელი პროცესები, ზოგადი პრინციპები და კონცეფციები;</li> <li>• იცის საქართველოს ისტორია, კულტურისა და ეთნოლოგიის საკითხები;</li> <li>• ერკვევა სათავგადასავლო ტურიზმის საფუძვლებში;</li> <li>• იცნობს სათავგადასავლო ტურის მომზადების პრინციპებს;</li> <li>• იცის ქედები და მათა სისტემები; კლიმატური ზონები (საბაზისო ცოდნა);</li> <li>• აქვს გეოლოგიისა და ფიზიკური გეოგრაფიის საბაზისო ცოდნა;</li> <li>• იცნობს საქართველოს რეკრეაციულ ზონებს ( საბაზისო ცოდნა);</li> <li>• ერკვევა საქართველოს ბიომრავალფეროვნებაში, ზედმიწევნით - ადგილობრივ ბიომრავალფეროვნებაში.</li> <li>• იცის უცხო ენა ( B2 დონეზე);</li> </ul> <p><b>ტექნიკა/მეთოდიკა</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• იცის ტრავმის პრევენცია;</li> <li>• ფლობს ზოგადგანმავითარებელი მოძრაობების ტექნიკის ძირითად ფორმებს;</li> <li>• იცის სათავგადასავლო ტურის სწორ თანმიმდევრულ საფეხურებად დაყოფა; ტურების დაგეგმვის ტექნიკა-მეთოდიკა;</li> <li>• აფასებს გარემოს და თოვლის ზედაპირს ზვავსაშიშროების ასპექტების გათვალისწინებით;</li> <li>• აქვს გზის შერჩევისა და უსაფთხოდ გავლა -გატარების უნარი ;</li> <li>• აღწერს ამინდის და მთიანი რელიეფის განვითარება/ცვლილებას;</li> </ul> <p><b>ტურის ლიდერობა</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• აქვს ახალი ინფორმაციის მოპოვების უნარი ლოკალურ და ზონალურ სფეროში;</li> <li>• ინფორმაციის სიმცირის დროს იღებს გადაწყვეტილებს კონკრეტულ მარშრუტებზე (სიტუაციის შესაბამისად);</li> <li>• აქვს ლიდერის თვისებები და შეუძლია ჯგუფის მართვა;</li> <li>• ფლობს ლიდერობის ტექნიკის პრინციპებს საფეხმავლო ტურების დროს;</li> </ul> <p><b>უსაფრთხოება</b></p> |
|-------------------------------------|--|--|

|   |  |   |
|---|--|---|
|   |  | <ul style="list-style-type: none"> <li>• იცის უსაფრთხოების აუცილებელი ტექნიკა; აფასებს ობიექტურ და სუბიექტურ პოტენციურ საფრთხეებს;</li> <li>• პროფესიულ დონეზე ფლობს აუცილებელი დაცვის საშუალებებს;</li> <li>• შეუძლია ჯგუფთან მუშაობისას უსაფრთხოების ზომების დაცვა;</li> <li>• ცნობს საქართველოში არსებულ საფრთხეებს (ცხოველები, ქვეწარმავლები, სტიქია, კრიმინალური სიტუაცია, ტრანსპორტის მოძრაობა, ეპიდემია, ალერგიული მცენარეულობა ან საკვები);</li> <li>• იცის პირველადი სამედიცინო დახმარება;</li> <li>• შეუძლია საშიშროების შეფასება რელიეფის გათვალისწინებით;</li> <li>• საქმიანობის განხორციელებისას, კვალიფიკაციის და მიღებული ცოდნის საფუძველზე, მინიმუმამდე ამცირებს რისკ-ფაქტორებს, რაც შეიძლება ემუქრებოდეს მის, ან მისი კლიენტების ჯამრთელობას, კლიმატური პირობების, ფიზიკური მდგომარეობის და ტექნიკური მომზადების შეფასების გათვალისწინებით.</li> </ul>   |
| <p><b>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</b></p> | <p>შეუძლია გამოიყენოს სფეროს სპეციფიკისათვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრი, შეაფასოს დავალებების შესასრულებლად სხვადასხვა მიდგომა. შეარჩიოს და მიუსადაგოს სათანადო მეთოდები, ინსტრუმენტები და მასალები.</p> | <ul style="list-style-type: none"> <li>• ტურისტული მარშრუტისათვის, ასევე ტურისტული ჯგუფისათვის მოიძიებს ძირითად ან დამატებით ინფორმაციას;</li> <li>• შეუძლია გეგმის შესაბამისი მარშრუტების რუკაზე დატანა, ჰიფსომეტრული ჭრილების შედგენა;</li> <li>• მოსალოდნელი საშიშროებიდან გამომდინარე შეუძლია გზის შერჩევა</li> <li>• ახერხებს პრაქტიკულ ორიენტირებას გარემოში და ორიენტირებისთვის საჭირო ნივთების ხმარებას;</li> <li>• ოპტიმალურად უთავსებს კვალს რელიეფს;</li> <li>• შესაბამის მარშრუტებზე, დროისა და თავისებურებების გათვალისწინებით, შეუძლია კვების ორგანიზება;</li> <li>• ახდენს კარვებში ღამისთვის ორგანიზებას და იცავს ღამისთვის უსაფრთხოების წესებს;</li> <li>• აქვს უნარი საინტერესოდ და სახალისოდ დაგეგმოს ტურის შემადგენელი აქტივობები;</li> <li>• პასუხისმგებლობის ფარგლებში ითვალისწინებს ტურისტთა მოთხოვნებს;</li> <li>• შეუძლია რუკის გამოყენება;</li> <li>• ახერხებს სამაშველო ოპერაციის ორგანიზებას ჯგუფის დახმარებით</li> <li>• ახდენს დაზარალებულის პირველად სამედიცინო დახმარებას და მისი უსაფრთხოდ ტრანსპორტირებას.</li> </ul> |
| <p><b>დასკვნის უნარი</b></p>                      | <p>შეუძლია განსხვავებულ სიტუაციებში წამოჭრილი პრობლემის გადასაჭრელად ინფორმაციის ცნობილი წყაროებით სარგებლობა, მათი შეფასდება და ანალიზი.</p>  | <ul style="list-style-type: none"> <li>• რთული და არასტანდარტული დავალებების შესასრულებლად შეუძლია საჭირო ინფორმაციის მოძიება;</li> <li>• ექსტრემალურ, კონფლიქტურ, სტრესულ და სახიფათო სიტუაციებში აქვს თავდაჭერისა და ადეკვატური ქმედების უნარი;</li> <li>• სტუმრებთან არგუმენტირებულად ხსნის და განმარტავს წარმოქმნილი პრობლემის არსს.</li> </ul>   |

|                                  |   |   |
|----------------------------------|---|---|
| <p><b>კომუნიკაციის უნარი</b></p> | <p>შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე განსხვავებულ სიტუაციებში. ეფექტურად იყენებს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. შეუძლია უცხო ენის პრაქტიკული გამოყენება.</p> | <ul style="list-style-type: none"> <li>• შეუძლია სტუმრის თხოვნის ყურადღებით მოსმენა, მოსმენილის გაგება, გააზრება და საჭიროებების დაზუსტება;</li> <li>• საინტერესოდ გადასცემს და შესაბამისად განმარტავს ინფორმაციას დაგეგმილი მარშრუტების შესახებ;</li> <li>• იყენებს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს;</li> <li>• შეუძლია სპეციალობასთან/სამუშაოსთან დაკავშირებული უცხო ენაზე მიღებული ინფორმაციის დამუშავება.</li> </ul> |
| <p><b>სწავლის უნარი</b></p>      | <p>შეუძლია წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება.</p>  | <ul style="list-style-type: none"> <li>• წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში საკუთარ სწავლაზე იღებს პასუხისმგებლობას;</li> <li>• განსაზღვრავს სწავლის შემდგომ საფეხურზე გაგრძელების საჭიროებასა და თანმიმდევრულ ეტაპებს.</li> </ul>  |
| <p><b>ღირებულებები</b></p>       | <p>განსხვავებულ სიტუაციებში მოქმედებს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად.</p>  | <ul style="list-style-type: none"> <li>• გულისყურით ეკიდება სტუმრის თხოვნას;</li> <li>• არის ტოლერანტული, მოწესრიგებული, მომთმენი და ემოციურად სტაბილური;</li> <li>• აქვს საკუთარი ქვეყნის კანონებისა და ტრადიციების პატივისცემა; ეკოლოგიური ცნობიერება.</li> <li>• პასუხისმგებლობით ეკიდება საკუთარ საქმიანობას - იცავს სავალდებულო უსაფრთხოების ზომებს, ითვალისწინებს უსაფრთხოების ასპექტებს.</li> </ul>  |

**საფეხმავლო გამყოლის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის აღმწერი**

|                                     |  |  |
|-------------------------------------|--|--|
| <p><b>ცოდნა და გაცნობიერება</b></p> | <p>აქვს სფეროს ფაქტობრივ გარემოებებსა და თეორიულ საფუძვლებზე დამყარებული ცოდნა, აცნობიერებს პრობლემების გადაჭრის ზოგად შესაძლებლობებს.</p> | <p>საფეხმავლო გამყოლი :</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• აქვს კვალიფიციური თეორიული ცოდნა ზოგადგანმავითარებელი ფიზიკური ვარჯიშებისა და აქტივობების შესახებ;</li> <li>• იცნობს განსხვავებული უნარების მქონე მომხმარებლის მომსახურების სპეციფიკას;</li> <li>• იცის და გაცნობიერებული აქვს სათავგადასავლო ტურიზმის სფეროსათვის დამახასიათებელი პროცესები, პრინციპები და კონცეფციები;</li> <li>• იცის საქართველოს ისტორია, კულტურისა და ეთნოლოგიის საკითხები;</li> <li>• კარგად ერკვევა სათავგადასავლო ტურიზმის საფუძვლებში;</li> <li>• კარგად იცნობს ახალი ტურის მომზადების პრინციპებს;</li> <li>• აქვს გეოლოგიისა და ფიზიკური გეოგრაფიის საბაზისო ცოდნა;</li> <li>• იცის ქედები და მათაა სისტემები; კლიმატური ზონები (საბაზისო ცოდნა); მწვერვალების სიმაღლეები, მდინარეების, ტბებისა და წყალსაცავების და სახელწოდებები;</li> </ul> |
|-------------------------------------|--|--|

|   |  |  |
|---|--|--|
|   |  | <ul style="list-style-type: none"> <li>• იცნობს საქართველოს რეკრეაციულ ზონებს;</li> <li>• ერკვევა საქართველოს ბიომრავალფეროვნებაში.</li> <li>• იცის უცხო ენა (მინიმუმ B2 დონე)</li> </ul> <p><b>ტექნიკა/მეთოდიკა</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• იცის სპეციფიკური ვარჯიშები და მოძრაობები, სხვადასხვა აქტივობები, მოძრავი თამაშები;</li> <li>• იცნობს ტრავმის პრევენციულ ღონისძიებებს;</li> <li>• ფლობს ზოგადგანმავითარებელი მოძრაობების ტექნიკის ძირითად ფორმებს.</li> <li>• იცნობს ტურების დაგეგმვის ტექნიკა-მეთოდიკებს;</li> <li>• აქვს ცოდნა გარემოს და თოვლის ზედაპირის შეფასებისა ზვავსაშიშროების ასპექტების გათვალისწინებით;</li> <li>• იცის გზის შერჩევა და კვალის გატანა;</li> <li>• აღწერს ამინდის და თოვლის საფარის განვითარება/ცვლილებას.</li> </ul> <p><b>ტურის ლიდერობა</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• აქვს ლიდერის თვისებები და შეუძლია ჯგუფის მართვა;</li> <li>• ფლობს ლიდერობის ტექნიკის პრინციპებს საფეხმავლო ტურების დროს;</li> <li>• ფლობს გადაწყვეტილების მიღების სტრატეგიებს.</li> </ul> <p><b>უსაფრთხოება</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• იცის აუცილებელი უსაფრთხოების ტექნიკა; აფასებს ობიექტურ და სუბიექტურ პოტენციურ საფრთხეებს;</li> <li>• პროფესიულ დონეზე ფლობს აუცილებელი დაცვის საშუალებებს;</li> <li>• იცის უსაფრთხოების დაცვის ტექნოლოგიები;</li> <li>• ცნობს საქართველოში არსებულ საფრთხეებს (ცხოველები, ქვეწარმავლები, სტიქია, კრიმინალური სიტუაცია, ტრანსპორტის მოძრაობა, ეპიდემია, ალერგიული მცენარეულობა ან საკვები);</li> <li>• იცის პირველადი სამედიცინო დახმარება.</li> </ul> |
| <p><b>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</b></p> | <p>შეუძლია, სამუშაოს დაგეგმვისა და შესრულების პროცესში გამოიყენოს სანდო ინფორმაციის წყაროები, შეიმუშაოს სტრატეგია წამოჭრილი სპეციფიკური ამოცანის დასაძლევად და შეაფასოს მიღებული შედეგები შესრულებული სამუშაოს გაუმჯობესების მიზნით.</p> | <ul style="list-style-type: none"> <li>• განაზოცნებებს გეგმის შესაბამის სათავგადასავლო ტურს;</li> <li>• მოსალოდნელი საშიშროებიდან გამომდინარე შეუძლია გზის შერჩევა და სწორი კვალის გატანა;</li> <li>• ახერხებს პრაქტიკულ ორიენტირებას გარემოში და ორიენტირებისთვის საჭირო ნივთების ხმარებას;</li> <li>• ოპტიმალურად უთავსებს კვალს ფერდის რელიეფს;</li> <li>• შესაბამის მარშრუტებზე, დროისა და თავისებურებების გათვალისწინებით, შეუძლია კვების ორგანიზება;</li> </ul>  |

|                |   |  |
|----------------|---|--|
|                |   | <ul style="list-style-type: none"> <li>• ახდენს კარვებში ღამისთევის ორგანიზებას და იცავს ღამისთევის უსაფრთხოების წესებს;</li> <li>• აქვს უნარი საინტერესოდ და სახალისოდ დაგეგმოს სხვადასხვა აქტივობები, შეჯიბრებები;</li> <li>• შეუძლია რუკის გამოყენება;</li> <li>• პროფესიულ დონეზე ახორციელებს დაზღვევის ტექნიკას;</li> <li>• ახერხებს სამაშველო ოპერაციის ორგანიზებას;</li> <li>• შეუძლია სამაშველო ოპერაციის დამოუკიდებლად განხორციელება;</li> <li>• შეუძლია ზოგადგანმავითარებელი მოძრაობების ტექნიკის ძირითადი ფორმების დემონსტრირება; აქვს შეცდომების დანახვისა და მათი შესწორების უნარი.</li> <li>• შეუძლია საფეხმავლო პროცესის სწორ თამიმდევრულ საფეხურებად დაყოფა;</li> <li>• სწორად იყენებს ორიენტირების მეთოდებს ტურების დაგეგმვის და ჩატარების დროს;</li> <li>• აქვს უნარი სათანადოდ შეაფასოს ბუნებრივი პირობები, ჯგუფის ფიზიკური და მორალური მდგომარეობა, იღებს გადაწყვეტილებას შემდგომი მოქმედების თაობაზე;</li> <li>• შეუძლია სტუმრის ჯგუფური და ინდივიდუალური მომსახურება;</li> <li>• შეუძლია კომბინირებულ ლაშქრობებზე სტუმრების წაყვანა;</li> <li>• ახერხებს რუკაზე მარშრუტების დაგეგმვას; ინფორმაციის სიმცირის დროს იღებს გადაწყვეტილებას კონკრეტულ მარშრუტებზე (რელიეფის შესაბამისად);</li> <li>• შეუძლია საშიშროების შეფასება რელიეფის გათვალისწინებით;</li> <li>• პრობლემურ, ფორსმაჟორულ და განსხვავებულ სიტუაციაში წარმოქმნილი პრობლემების გადასაჭრელად, შეუძლია ალტერნატიული შესაძლებლობების განხილვა და სპეციფიკური პრობლემების გადასაწყვეტად შესაბამისი მიდგომის შემუშავება;</li> <li>• სამაშველო ოპერაციების ტექნოლოგიების გამოყენებით კვალიფიციურად ახდენს დაზარალებულის მობილიზაციას, პირველად დახმარებას და მისი უსაფრთხოდ ტრანსპორტირებას.</li> </ul> |
| დასკვნის უნარი | <p>შეუძლია სპეციფიკური პრობლემების გადასაწყვეტად შესაბამისი მიდგომის შემუშავება, ალტერნატიული შესაძლებლობების განხილვა და მიღებული შედეგის ანალიზი.</p> | <ul style="list-style-type: none"> <li>• შეუძლია წარმოქმნილი პრობლემების შეფასება და ანალიზი, მათ გადასაჭრელად სხვადასხვა ტექნიკურ-მეთოდური საშუალებებით სარგებლობა;</li> <li>• რთული და არასტანდარტული დავალებების შესასრულებლად შეუძლია საჭირო ინფორმაციის მოძიება;</li> <li>• შეუძლია გაწეული საქმიანობის და მიღებული შედეგის ანალიზი;</li> <li>• ექსტრემალურ, კონფლიქტურ, სტრესულ და სახიფათო სიტუაციებში აქვს თავდაჭერისა და ადექვატური ქმედების უნარი;</li> <li>• სტუმრებთან არგუმენტირებულად ხსნის და განმარტავს წარმოქმნილი პრობლემის შესახებ;</li> <li>• სამუშაოსათვის დამახასიათებელი ელემენტებისა და მომსახურების განსაზღვრულ</li> </ul>  |

|                           |  |  |
|---------------------------|--|--|
|                           |  | ვალდებულებებს თანმიმდევრულად ასრულებს და ახერხებს სამუშაოების კოორდინაციას.  |
| <b>კომუნიკაციის უნარი</b> | შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე ცვალებად სიტუაციებში, ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დამოუკიდებლად ათვისება, უცხოურ ენაზე მიღებული პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავება. | <ul style="list-style-type: none"> <li>• ტურისტის ამზადებს სათანადო ტექსტს; ტურისტული მარშრუტისათვის, ასევე ტურისტული ჯგუფისათვის მოიძიებს ძირითად ან დამატებით ინფორმაციას;</li> <li>• დაგეგმილ მარშრუტებზე ამოწმურავ ინფორმაციას საინტერესოდ გადასცემს და შესაბამისად განმარტავს;</li> <li>• შეუძლია სტუმრის თხოვნის ყურადღებით მოსმენა, მოსმენილის გაგება, გააზრება და საჭიროებების დაზუსტება;</li> <li>• საინტერესოდ გადასცემს და შესაბამისად განმარტავს ინფორმაციას დაგეგმილი მარშრუტების შესახებ;</li> <li>• იყენებს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს;</li> <li>• პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია კოლეგებთან, ხელმძღვანელებსა და სპონსორებთან, ტუროპერატორებთან;</li> <li>• შეუძლია საკუთარ პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემა და ანგარიშის წარდგენა როგორც სპეციალისტების, ასევე არასპეციალისტებისათვის;</li> <li>• შეუძლია უცხო ენაზე სპეციალობასთან/სამუშაოსთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავება;</li> <li>• ფლობს თხრობის მეთოდურ ხერხებს.</li> </ul> |
| <b>სწავლის უნარი</b>      | შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების დამოუკიდებლად განსაზღვრა განჭვრეტად, თუმცა ნაწილობრივ ცვალებად, ვითარებაში.  | <ul style="list-style-type: none"> <li>• წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში საკუთარ სწავლაზე იღებს პასუხისმგებლობას;</li> <li>• განსაზღვრავს სწავლის შემდგომ საფეხურზე გაგრძელების საჭიროებასა და თანმიმდევრულ ეტაპებს.</li> </ul>   |
| <b>ღირებულებები</b>       | პასუხისმგებლობით ეკიდება პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს და ცვალებად სიტუაციებში მოქმედებს მათ შესაბამისად.  | <ul style="list-style-type: none"> <li>• არის თავაზიანი და ყურადღებიანი; ახასიათებს ორგანიზებულობა, პუნქტუალობა და მოწესრიგებულობა, კონსტრუქციული თანამშრომლობა და კეთილგანწყობა კოლეგებთან და პერსონალთან, სხვისი დახმარება, საქმისადმი პატიოსანი და ეთიკური მიდგომა;</li> <li>• გულისყურით ეკიდება სტუმრის თხოვნას;</li> <li>• არის ტოლერანტული, მომთმენი და ემოციურად სტაბილური.</li> <li>• აქვს საკუთარი ქვეყნის კანონებისა და ტრადიციების პატივისცემა; ეკოლოგიური ცნობიერება.</li> <li>• პასუხისმგებელია საქმიანობისას: დაიცვას სავალდებულო უსაფრთხოების ზომები, გაითვალისწინოს უსაფრთხოების ასპექტები, მოამზადოს ტური პროფესიონალურ დონეზე, აიღოს პასუხისმგებლობა დაგეგმვის და განხორციელების ყველა ეტაპზე.</li> </ul>   |